სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №162/01/14

ქ. თბილისი 16 თებერვალი 2011 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორი გიორგი ჩახნაშვილის და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ივერმშენი-2", მისი დირექტორის ლევან ბიბილეიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №1457 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 14 დეკემბრის №48 სხდომის ოქმის XLIII პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი I. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა - „საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეაბილიტაციის" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანიის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მუხლი II. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება: 1 **344 402.45** (ერთიმილიონ სამასორმოცდაოთხი ათას ოთხასორი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

მუხლი IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით.
4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: მისამართი. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი მელაანი, მელაანის საჯარო სკოლა.

მუხლი V. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ასევე სარეაბილიტაციო ნარჩენებისაგან.

მუხლი VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა №2, ფორმა №3) წარმოდგენისა და გაფორმების შემდეგ.

6.2. საბოლოო სამუშაოს შესრულებამდე მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა №2, ფორმა №3), რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.

6.3 შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა №2, ფორმა №3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს: სამშენებლო სამსახურის უფროსის მოადგილეს ზურაბ ნიკოლაიშვილს და მენეჯერს მერაბ ჭონიაშვილს.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

6.7. შესრულებული სამუშაოების შუალედურს და საბოლოო მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს სააგენტოს სამშენებლო სამსახურის უფროსი თეიმურაზ მაჩაიძე.

მუხლი VII. ანგარიშსწორება

7.1. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების მაქსიმუმ 45%-ის ოდენობით, ამავე თანხაზე გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 15 კალენდარულ დღეში; გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განახორციელოს ერთჯერადად ან ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მხარეთა შორის ფორმა №2-ზე შედგენილი შედარების აქტისა და ფორმა №3 გაფორმებიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში, ავანსის სახით მიღებული თანხის სრულად გაქვითვის შემთხვევაში.

7.3.მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2 და №3) გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.4. სახელშეკრულებო თანხის 10%-ის ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სკოლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე ექსპერტიზის გავლისა და საექსპერტო დასკვნის შედგენის შემდგომ; (საექსპერტო მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი).

7.5.შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.6. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

მუხლი VIII ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი IX. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
9.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
9.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
9.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
9.3.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტს;
9.3.3.უარი თქვას შესრულებული სამუშაოს მიღებაზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს;
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.4.2. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.
9.4.3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
9.4.4. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები სამუშაო ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
9.4.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ობიექტზე.
9.4.6. სამუშაოების დასრულების შემდეგ 10 (ათი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;
9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

მუხლი X. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს უპირობო საბანკო გარანტიას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ის

ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

10.2. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

10.4. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 20 (ოცი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.5. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

10.6. თუ კი მიმწოდებელი 10.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

10.7. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 7.5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწიდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გემა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

10.8. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

მუხლი XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2011 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი XII. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

1. სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით:

"ფორს-მაჟორული" სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

მუხლი XIII დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი XIV გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

14.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი XV. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

15.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში აღნიშნული პირი.

მუხლი XVI. სხვა პირობები

16.1.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

(ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
16.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

მუხლი XVII. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო",
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68, ს/კ 202294980;
სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი გიორგი ჩახნაშვილი

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,,ივერმშენი–2", მისამართი: თბილისი, გურამიშვილის N76, ს/კ 200078931, ს.ს. ,,ტაოპრივატბანკი", ბანკის კოდი: 220101702, ა/ა GE46TP0000000360504821

დირექტორი ლევან ბიბილეიშვილი

_____
(ხელმოწერა)

ს.ს.ი.ს. საგანმანათლებლო და
სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების საგანგებო
დირექციის ს.ნ.ბ. გ. ჩანბარაშვილი

ინფორმაციისთვის სიგელი შეგიტყობთ, რომ
ა.ა.ხ.ა. განათლების (გუნდურობის მართვა-ორგანიზაციის)
საგ. პროგრამის საჯარო სკოლის მენეჯერობა)

მ.ს.ბ. „ივერიელი-2"-ის
დირექტორი

(ნინო ბერიძე)

8/II-11 წ

აჭარის საბანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო
შემოსული N 05/141
05 02 2011 წ.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)
FG 0075/11

ვის: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "ივერმშენი-2"-მ (ს/კ: 200078931),შემდგომში "მიმწოდებელმა" სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს-ის წინაშე იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, (გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. მულაანის საჯარო სკოლის მშენებლობა) მის მიერ მოთხოვნილ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით არაუმეტეს თანხაზე 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას "მიმწოდებლის" მიერ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე თქვენი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის მანძილზე.

საგარანტიო უზრუნველყოფა ძალაშია 2011 წლის 09 თებერვლიდან 2011 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით. საგარანტიო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვიტარების სააგენტოს მხრიდან აღარ მიიღება.

ეს გარანტია გაიცემა პრინციპალთან (მიმწოდებელთან) 2011 წლის 09 თებერვალს გაფორმებული მომსახურების გენერალური ხელშეკრულების №GA 025/11 საფუძველზე.

გარანტი

.....

ვალერიანი კაკულია

ფინანსური რისკების მართვის
განყოფილების უფროსი

თარიღი: 08.02.2011

ჯი ეფ აი
ვენის სადაზღვეო ჯგუფი
204426674
ISC "INSURANCE COMPANY GPI HOLDING"

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N162/01/14-1

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს და შპს ,,ივერმშენი-2"-ს შორის 2011 წლის 16 თებერვალს გაფორმებულ №162/01/14 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 22 აგვისტო, 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ირაკლი თოდუას სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ივერმშენი -2" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, ლევან ბიბილეიშვილის სახით, მხარეთა შორის 2011 წლის 16 თებერვალს გაფორმებული №162/01/14 ხელშეკრულების, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს სამშენებლო სამსახურის 2011 წლის 17 აგვისტოს №01-569 სამსახურებრივი ბარათის და შპს ,,ივერმშენი -2" -ის 2011 წლის 05 აგვისტოს N05\5613 წერილის შესაბამისად, შევთანხმდით შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 16 თებერვალს გაფორმებულ №162/01/14 ხელშეკრულებაში და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს კორექტირებული სახით (დანართიN1). ამასთან ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილება არ გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას.
2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ორი ეგზემპლარი რჩება შემსყიდველ ორგანიაზაციას, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო	შპს ,,ივერმშენი-2"
ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო"	დირექტორი
დირექტორის მოადგილე	ლევან ბიბილეიშვილი
ირაკლი თოდუა	
(ხელმოწერა, ბეჭედი)	(ხელმოწერა, ბეჭედი)

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №162/01/14-2

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს და შპს ,,ივერმშენი -2" -ს შორის 2011 წლის 16 თებერვალს გაფორმებულ №162/01/14 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 01 სექტემბერი, 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ირაკლი თოდუას სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ივერმშენი-2" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, ლევან ბიბილეიშვილის სახით, მხარეთა შორის 2011 წლის 16 თებერვალს გაფორმებული №162/01/14 ხელშეკრულების 16.5 პუნქტის, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს დირექტორის მოადგილის 2011 წლის 01 სექტემბრის №01-612 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს დირექტორის 2011 წლის 25 იანვრის №08 ბრძანების საფუძველზე შევთანხმდით შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 16 თებერვალს გაფორმებულ №162/01/14 ხელშეკრულებაში და მიმწოდებელს, ხელშეკრულების 10.4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამუშაოების დასრულებისათვის განესაზღვროს დამატებითი ვადა 2011 წლის 02 სექტემბრიდან 2011 წლის 10 სექტემბრამდე, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება შედგენილია ოთხი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი რჩება შემსყიდველ ორგანიაზაციას, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო"-ს დირექტორის მოადგილე

ირაკლი თოდუა

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს ,,ივერმშენი-2"-ს დირექტორი

ლევან ბიბილეიშვილი

(ხელმოწერა, ბეჭედი)